



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლომთათიძე ჭოლა ბიბონის ძე



ჭ. ლომთათიძე

ლომთათიძე ჭოლა (ბიკენტი) ბიბონის ძე [24.VI (6. VII). 1879, სოფ. ჭაჭიეთი, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, - 11(24). XI. 1915, სარატოვი, რუსეთი], მწერალი. 1888-იდან სწავლობდა ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში. უსახსრობის გამო სწავლას თავი დაანება და თვითგანათლებას მიჰყო ხელი. 1896 ქუთ. სამეურნეო სკოლაში შევიდა, მაგრამ მოსწავლეთა მარქსისტულ წრეში ჩაბმის გამო 1897 დაითხოვეს. 1898-იდან ლ. ხარკოვის სამეურნეო სკოლის მსმენელი გახდა, მაგრამ რევ. საქმიანობისთვის იქიდანაც გარიცხეს. 1907-14 ციხეში გაატარა. ციხიდან გამოსულს სამშობლოში დაბრუნების ნება არ მისცეს. გარდაიცვალა სარატოვის თავშესაფარში.

ლ-ის პირველი მოთხრობები „დავითი“ და „ცხოვრების გულიდან“ 1901 გამოქვეყნდა. 1901-03 თავის შემოქმედებაში იგი ძირითადად კრიტ. რეალიზმს მისდევდა, თუმცა მისთვის არც ე.წ. რევ. რომანტიზმი იყო უცხო. ამ პერიოდის ლექსებში, მინიატიურებში ლ. თვალსაჩინოდ ასახავს სოც.-პოლიტ. უკუღმართობას, ეროვნ. პრობლემატიკას; მისი ნაწარმოებები ეძღვნება ასევე სიყვარულს და სხვ. („მატლი“, „დასაფლავება“, „ზღვა“, 1902; „სიცრუე“, 1903 და სხვ.).

რევოლუციონერის ხიფათიანმა ცხოვრებამ მწერალი ჩამოაშორა ლიტ. სარბიელს. 1907-იდან მძიმე სენით დაავადებული ლ. საპყრობილეში მიუბრუნდა სამწერლო მოღვაწეობას. იგი ქართ. რევ.-დემოკრ. მწერლობის ერთ-ერთი მესვეური გახდა. ამ პერიოდის

თხზულებებია „სახრჩობელას წინაშე“, (1907); „საპყრობილეში“ (1909), „პირველი მაისი“ (1911) და სხვ. მის შემოქმედებაში გამძაფრდა ეროვნ. მოტივი, პროტესტი ეროვნ. ჩაგვრის წინააღმდეგ; დაინტერესდა ყოფითი პრობლემებითაც: სიყვარული, ოჯახი, ქალთა ემანსიპაციის საკითხები („დუმილი“, „მოლალატე“, 1910; „უბედური“, 1912 და სხვ.).

ლ. დაკრძალულია მწერალთა და საბ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: თხზულებათა სრ. კრ., თბ., 1956; რჩ. თხზულებანი ორ ტომად, თბ., 1971–72; მოთხრობები, თბ., 2008; საპყრობილეში, თბ., 2011.

ლიტ.: მ ე გ რ ე ლ ი ძ ე ი., ჭოლა ლომთათიძე, ბათ., 1979; რ ა მ ი შ ვ ი ლ ი დ., ჭოლა ლომთათიძე, თბ., 1960; ს ა ი თ ი ძ ე გ., ჭოლა ლომთათიძის მსოფლმხედველობის გაგებისათვის „ლიტერატურული ძიებანი“, 1999, [ტ.] 20; ს ი გ უ ა ს., პოეტი-ტუსალი, წგ.: ქართული მოდერნიზმი, თბ., 2002; ც ი ც ი შ ვ ი ლ ი გ., ჭოლა ლომთათიძე, თბ., 1966.

გ. ციციშვილი
